ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5035674

ნომერი: AR1757007

თარიღი : 01.07.2020

გაცემის თარიღი : 22.07.2020

გაცნობის თარიღი : 22.07.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩა , N 9;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნოდარ სანდუხაძე პ/ნ 01004005606
- ლიბანის 7, ბინა 18

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 07 მარტის ავტომატური გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისისმუნიციპალიტეტის არქიტექტურისსამსახურს 2020 წლის01

ივლისს №AR1757007 განცხადებით მომართა ნოდარ სანდუხაძემსამსახურის 2019 წლის 07 მარტის ავტომატურ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 30 ივნისის №4044493 გადაწყვეტილებით შეთანხმდა ქ. თბილისში, მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩა №9-ში, არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.11.05.029.302), მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის, სექტორი 2, ბლოკი ,,გ''-ს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 29 ივნისიდან 2018 წლის 29 ნოემბრის ჩათვლით. ამასთან, დამკვეთს დაევალა აღნიშნული გადაწყვეტილებისოფიციალური წესით გაცნობიდან 5 (ხუთი) თვის ვადაში კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმება, რომლითაც აღმოფხვრილი იქნებოდა ხარვეზი მიჯნის ზონასთან დაკავშირებით. დამკვეთს განემარტა, რომ აღნიშნული დოკუმენტაციის დადგენილ ვადაში წარმოუდგენლობის შემთხვევაში წინამდებარე ბრძანება ჩაითვლებოდა ძალადაკარგულად გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან. სამსახურის 2018 წლის 13 სექტემბრის №4168700 ბრძანებით დაევალა დამკვეთს 79 (სამოცდაცხრამეტი) დღის ვადაში, ხოლო სამსახურის 2018 წლის 03 დეკემბრის №4286266 გადაწყვეტილებით 63 (სამოცდასამი) დღის ვადაში (2019 წლის 07 მარტის ჩათვლით) ბრძანების ოფიციალური წესით გაცნობიდან კორექტირებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმება, რომლითაც აღმოფხვრილი იქნებოდა ხარვეზი მიჯნის ზონასთან დაკავშირებით.
2019 წლის 18 თებერვალს №AR1300424MS შეტყობინებით სამსახურს კვლავ მომართა ნოდარ სანდუხაძემ და მოითხოვა ზემოაღნიშნული პირობის შესასრულებლად განსაზღვრული ვადის დამატებით 3 თვით გაგრძელება. თუმცა აღნიშნული ვადის გაგრძელება და რეაგირება არ მომხდარა და სამსახურის 2018 წლის 30 ივნისის №4044493 გადაწყვეტილება, პირობით გათვალისწინებული ვადის გასვლის გამო, 2019 წლის 07 მარტს ავტომატურად გამოცხადდა ძალადაკარგულად.
განმცხადებლის განმარტებით, ვინაიდან ზემოაღნიშნული პირობის ვადის გასვლამდე (2019 წლის 18 თებერვალს) მის მიერ მოთხოვნილ იქნა ვადის დამატებით 3 თვით გაგრძელება, 2018 წლის 30 ივნისის№4044493 გადაწყვეტილება ავტომატურად ძალადაკარგულად არ უნდა გამოცხადებულიყო.
საჯარორეესტრის ამონაწერის(განცხადების რეგისტრაცია: №892018452361, მომზადების თარიღი: 28/05/2018 15:15:30) თანახმად, №01.11.05.029.302 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთი წარმოადგენს შპს „იუნიქს ქონსთრაქშენკომპანი“-ს საკუთრებას. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის ამონაწერის მიხედვით (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B19144449, 31/12/2019 16:26:47წ.) შპს „იუნიქს ქონსთრაქშენკომპანი“-ს ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს ნოდარ სანდუხაძე.
საქმისათვის არსებითი მნიშვნელობისმქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დგინდება, რომსამსახურის 2018 წლის 30 ივნისის№4044493 გადაწყვეტილების მე-5 პუნქტით განსაზღვრული პირობის ვადა სამსახურის 2018 წლის 03 დეკემბრის №4286266 გადაწყვეტილებით გაგრძელებული იყო 2019 წლის 07 მარტის ჩათვლით. ხოლო, ნოდარ სანდუხაძემ 2019 წლის 18 თებერვალს მომართა სამსახურს ვადის დამატებით 3 თვით გაგრძელების მოთხოვნით, რაც დარჩა რეაგირების გარეშე. შესაბამისად, სამსახურის 2018 წლის 30 ივნისის№4044493 გადაწყვეტილება 2019 წლის 07 მარტს ავტომატურად გამოცხადდა ძალადაკარგულად.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე–60 პრიმა მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადების ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული წესის დარღვევით ჩატარებულ სხდომაზე ან კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.
აღნიშნული კოდექსის მე–60 პრიმა მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ან სასამართლო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობასთან ერთად განსაზღვრავს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტის სამართლებრივ შედეგებს. შესაძლებელია განისაზღვროს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მოქმედების შეწყვეტა მისი ძალაში შესვლის დღიდან.
ამდენად, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დასამსახურში დაცულიდოკუმენტაციის შესწავლისშედეგად, სამსახურსმიზანშეწონილად მიაჩნიაბათილად ცნოს სამსახურის2019 წლის 07 მარტის ავტომატური გადაწყვეტილება მისი ძალაში შესვლის დღიდან.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადიადმინისტრაციული კოდექსისთანახმად,

ვბრძანებ:

1. ბათილად იქნას ცნობილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისისმუნიციპალიტეტის არქიტექტურისსამსახურის 2019 წლის 07 მარტის ავტომატური გადაწყვეტილება მისი ძალაში შეცვლის დღიდან.
2. განესაზღვროს დამკვეთს 2 სამუშაო დღის ვადა 2018 წლის 10 მაისის №AR1599615 განცხადებაზე სამსახურის 2018 წლის 30 ივნისის №4044493 გადაწყვეტილების მე-5 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოსადგენად.
3. ბრძანებაშეიძლება გასაჩივრდესქალაქ თბილისისმუნიციპალიტეტის მერთან(მის: შარტავასქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტისოფიციალური წესითგაცნობიდან ერთითვის ვადაში.